სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები საქართველოში: გამოწვევები და პერსპექტივები

ქეთევან ლომსაძე

ხატია წიკლაური

თამარ ბასიშვილი

ჯგუფი #4

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირაკლი კაჭარავა, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018 წელი

აბსტრაქტი

ნაშრომი მოიცავს ინფორმაციას საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განვითარების შესახებ, განვლილი პერიოდის გამოცდილების განხილვას, დღევანდელი მდგომარეობის მიმოხილვას, დადებითი და უარყოფითი მხარეების წარმოჩენას და რეკომენდაციების შემუშავებას.

სამაგისტრო ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი, განხილულია საერთაშორისო გამოცდილება და ასახულია ამ ინსტრუმენტის მნიშვნელოვანი ფუნქციები საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

ნაშრომში წარმოჩენილია საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების არსი და მნიშვნელობა, კანონში არსებული დებულებები, რომლებიც არის ბაზრის ფუნქციონირების საფუძველი, მონაწილე მხარეები და მათი ფუნქცია-მოვალეობები.

კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესწავლა, ანალიზი, ქვეყნის ეკონომიკაში მისი როლის განსაზღვრა და აღნიშნული ბაზრის განვითარების შესაძლებლობების დადგენა.

კვლევის ამოცანები კი შეიძლება ჩამოვაყალიბოთ რამდენიმე პუნქტად:

- საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე არსებული პრობლემების გამოვლენა;
- საერთაშორისო გამოცდილების გაანალიზება და საქართველოს ბაზართან შედარება;
- საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განვითარებისთვის სტრატეგიების შემუშავება;

კვლევის ობიექტს წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ბაზარი, ხოლო კვლევის საგანს - სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები.

ნაშრომის ბოლოს შემუშავებულია რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა ამაღლდეს მოსახლეობის ცნობიერების დონე და განვითარდეს მეორადი ბაზარი.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, ფულადი ბაზარი, პირველადი ბაზარი, მეორადი ბაზარი.

Abstract

The paper covers information of the development of state securities of Georgia, review of the past and current period experience, demonstrating positive and negative side effects and Enhancement of recommendations.

In this paper there is analyzed Georgian government securities market, International experience, and, also there are reflected the important functions of this instrument in the market economy.

In this paper there is presented the meaning and importance of Georgian government securities market, the provisions of the law, which is fundament of market functioning, Georgian government securities market's participants and their functions and responsibilities.

The purpose of the research is study of current condition of the Georgian government securities market, analyze, defining its role in the economy of the country and to determine the opportunities for the development of this market.

Research tasks:

- Identifying the existing problems in the Georgian state securities market;
- Analyze international experience and compare with Georgian market;
- Elaborating strategies for development of Georgian state securities.

The object of this research is the securities market and the subject of research - state securities;

At the end of this paper there is elaborated recommendations about how to arise awareness of population towards to state securities of Georgia and developement of a secondary market.

search key terms: state securities, cash market, primary market, secondary market.